ცნობის ფურცელი

№ 1897 ხუთშაბათი, 15 აგვისტო 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1897

ხელის-მოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

„ცნობის ფურცლის“ მე-1898 №-რი გამოვა შაბათს, 17 აგვისტოს

გაზ. „ცნობის-ფურცლის“ რედაქცია გულითადის მწუხარებით აუწყებს მკითხველთ, რომ 12 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ., მცირე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ამ გაზეთის თანამშრომელი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

პანაშვიდი ყოველდღე სალამოს 7 საათზე, მიცვალებულის ბინაზე, ავჭალის ქუჩა გაგნიძის სახლი № 4.

დასაფლავება მოხდება კვირას, 18 აგვისტოს. (რ. 0—2)

ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა, ივანე და გიორგი ანტონის ძენი ცაგარელნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლისა და მეორენი ძმისა

ავქსენტი ანტონის ძის ცაგარლისას

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 7 საათზე, მიცვალებულის ბინაზე, ავჭალის ქუჩა, გაგნიძის სახლი № 4.

დაფლავება მოხდება კვირას, 18 აგვისტოს. (რ. 3—2)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 12 ამა აგვისტოს გარდაიცვალა დრამატურგი და დრამატ. საზოგადოების საპატიო წევრი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 7 საათზე, მიცვალებულის ბინაზე, ავჭალის ქუჩა, გაგნიძის სახლი № 4.

დასაფლავება მოხდება კვირას, 18 აგვისტოს. (რ. 3—2)

ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველი სექცია აუწყებს საზოგადოებას, რომ 12 ამა აგვისტოს გარდაიცვალა დრამატურგი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 7 საათზე განსვენებულის სადგომში, ავჭალის ქუჩა, სახლი გაგნიძისა № 4. დასაფლავება—კვირას, 18 აგვისტოს.

ბორჯომში

ექიმი ვ. ლამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 8$\frac{1}{2}$—11-მდე და სალამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და სალამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმიო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს იმათდა საყურადღებოდ, რომელნიც ამომრჩეველთა საბოლოო შესწორებულ სიაში არიან ჩამოთვლილნი, რომ **კრება** მომავალ 1902—1904 წლებისათვის **ფოთის ქალაქის საბჭოს ახალ ხმოსანთა ასარჩევად მოხდება 8 სექტემბერს** ამა 1902 წელს, დილის 9 საათზე ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში. (3—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ ზედგანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სითვილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ავქსენტი ცაგარლის გარდაცვალება

მეორე პანაშვიდს, 13 აგვისტოს სალამოს, აგრეთვე დიდი საზოგადოება დაესწრო; სხვათა შორის იყო ცნობილი დრამატურგი მხცოვანი გ. ნ. სუნდუკიანცი.

პანაშვიდის შემდეგ მოლაპარაკება ჰქონდათ დასაფლავების გამგეთ და საზოგადოების ზოგიერთ წარმომადგენელთ. როგორც აღმოჩნდა, განსვენებულ მწერლის **დიდუბეში დასაფლავება** მოუხერხებელია, რადგან ადგილიც მეტად ძვირად ღირს და ნებართვის აღებაც გაჭირდება. გარდაცვალებულის დასაფლავება უნდა მოხდეს ან მამადავითის ეკკლესიის გალავანში ან კუკიის სასაფლაოზე.

ამ საქმის გამო საუბრის დროს, ბ. პეტრე ყიფიანმა **საყურადღებო წინადადება** წარუდგინა დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრთა და მოლაპარაკებაზე დამსწრეთ. საჭიროა, ბრძანა ბ. ყიფიანმა, ჩვენის მწერლების, არტისტების და სხვა მოღვაწეების საფლავები ერთად, ერთ ადგილს, გვქონდეს; რადგან დიდუბეში და მთა-წმინდაშიაც ადგილი აღარ არის და ნებასაც არ იძლევიან, უმჯობესი იქნება შეძენილ იქმნას კუკიის სასაფლაოზე კარგა მოზდილი ალაგი (რამდენიმე სასაფლაო ერთად) და ეს ადგილი დაინიშნოს ჩვენ მწერალ—არტისტთა დასაკრძალავად; ეს წინადადება ეხლავ განვახორციელოთო, დასძინა ბ. ყიფიანმა, რათა ახლად გარდაცვალებული ავქსენტიც ამ ადგილას დაიმარხოსო. ეს წინადადება ყველა დამსწრეთ მოიწონეს და დრამატიულ საზოგადოების გამგეობას სთხოვეს თაოსნობა მის განხორციელებისათვის.

გუშინვე დაიწყო პროვინციიდან **სამძიმრის დეპეშების** მოსვლა. რედაქციამ მიიღო:

აბასთუმნიდან: „გარდაეცით ნატალია მერაბის ასულს, რომ თანამოზიარენი ვართ მისის მწუხარებისა საქართველოს ძვირფას დრამატურგის ასიკოს დაკარგვის გამო. შიო დედაბრიშვილი და იაკობ ნიკოლაძე“.

ბათუმიდან: ბათუმის ქართველ საზოგადოების სახელით გაცხადებთ უღრმეს მწუხარებას ნიჭიერი დრამატურგისა და სამშობლო სცენის ერთგული მუშაკის, დაუვიწყარი ასიკოს უდროოდ გარდაცვალებისა გამო. თ. ი. ანდრონიკაშვილი, გოლსკი.

ფელეტონი

სომხობა და ქართველი მწერლები

I. „დროება“ და სერგეი მესხი

(გაგრძელება*)

როგორც ვიცით, ახალი საქალაქო თვითმმართველობა შემოიღეს ჩვენში 1874 წ. **). მანამდის რამდენიმე წელიწადს არსებობდა ძველი წოდებრივი წესწყობილება. ყოველი წოდება, თუ კლასი, ცალკე ირჩევდა თავისს წარმომადგენლებს; კლასები ზოგს საქმეს ცალკ-ცალკე განაგებდნენ, ზოგს—ერთად. 1866 წ. ტფილისში მოხდა ამ წესით არჩევნები. პირველის კლასის წარმომადგენლებად, რომელთაც შეადგენდნენ ჩამომავლობითი აზნაურნი, არჩეულ იქნენ უმრავლესად ქართველები, მეორე კლასის წარმომადგენლებში (პირადი აზნაურები და საპატიო მოქალაქენი) არჩეულ იქმნა 2 თუ სამი ქართველი, მესამე კლასის (მოქალაქენი) წარმომადგენლად არც ერთი ქართველი არ იყო არჩეული; არ იყო არჩეული არც მეოთხე კლასის (მკვიდრნი, რომელთაც უძრავი ქონება არა აქვთ, მაგრამ ვაჭრობენ, ან ხელოსნობენ) წარმომადგენლად. (უნდა შევნიშნოთ, რომ თითო კლასი ირჩევდა 25 წარმომადგენელს.) ქალაქის თავად იქმნა არჩეული სომეხი.

1870 წლის საქალაქო დებულებით ამომრჩევლები ხმოსნებს ირჩევდენ სამ რიგად; ტფილისში თითო რიგი ირჩევდა 24 ხმოსანს. 1874 წ. ტფილისის საქალაქო არჩევნებზე 1-ლ რიგში არჩეულ იქმნა სამი ქართველი (სულ დაესწრო 32 ამომრჩეველი), მე-2 რიგში—2 ქართველი (დაესწრო 105 ამომრჩეველი) და მე-3 რიგში 2 ქართველი (350 ამომრჩ.) ქალაქის თავის კანდიდატებად დაასახელეს თუმანოვი, ხანჯიევი და მამაცოვი; აირჩიეს პირველი. 1875 წ. თუმანოვის მაგიერ არჩეულ იქმნა დიმ. ყიფიანი (მისი მოწინაალმდეგე კანდიდატი იყო იერ. არწრუნი)

1878 წ. პირველ რიგში აირჩიეს 1 ქართველი, 3—4 სხვა ტომ., დანარჩენი სომეხი (სულ დაესწრო 32 ამომრჩეველი), მე-2 რიგში—3 ქართველი, 3 სხვა ტომ., დანარჩენი სომეხი (დაესწრო 57 ამომრჩ.), 3 რიგში—6 ქართველი, დანარჩენი სომეხი. ქალაქის თავის კანდიდატებად დაასახელეს დ. ყიფიანი, ბებუთოვი, ხოჯამინასოვი, ზუბალოვი, თამამშევი, ყორღანოვი; აირჩიეს ყორღანოვი და შემდეგ, რაკი ამან უარი განაცხადა,—მატინოვი.

1883 წ. პირველ რიგში აირჩიეს 2 ქართველი, 2 სხ. ტომი, დანარჩ.—სომეხი (სულ იყო 31 ამომრჩეველი), მეორე რიგში—3 ქართველი, 4 სხვა ტომ., დანარჩ.—სომეხი (დაესწრო 96 ამომრჩ.), მესამე რიგში—4 ქართველი, 2 სხვა ტომი და დანარჩენი სომეხი. ქალაქის თავად აირჩიეს თუმანოვი.

ასეთი არჩევანები მოხდა „დროების“ არსებობის დროს. როგორ უყურებდა გაზეთი ამ არჩევნებს? 1866 წელს, ალბად, ნამეტნავად შეზღუდული საქალაქო თვით-მმართველობა არავის არ აინტერესებდა მანდამაინც, არავინ არ აქცევდა ყურადღებას ქართველი იქნებოდა არჩეული, სომეხი, თუ სხვა. სომხები მეტნი იყვნენ და ირჩევდენ თავისიანებს თავის თავად, ყოველისავე „პოლიტიკურის“ მოსაზრების გარეშე. „დროება“-ც არაფერს ამბობს. სულ სხვაა 1874 წლის არჩევნები. გაიხსნა ფართო სამოღვაწეო ასპარეზი; ზოგს პატივმოყვარეობა მიიწევდა ამ ასპარეზისაკენ, ზოგს საქვეყნო სამსახური. ქართველებმაც მოინდომეს ქალაქის თვით-მმართველობაში მონაწილეობის მიღება: მივიდნენ, მაგრამ ნახეს, რომ სომხებმა, რომლებიც ქართულად ლაპარაკობენ, ქართველებს ძმებსავით უყურებდნენ წინათ, ნახევრად ქართველად სთვლიდნენ თავისს თავს, მაინც უფრო (შეიძლება უნებურადაც) თავისიანებს დაუჭირეს მხარი და აირჩიეს სომხები, ქართველები-კი გააშავეს.

ქართველობა ძალიან დაალონა სომხების საქციელმა, რომელიც მით უფრო სამწუხარო იყო, რომ ქართველები არ მოელოდნენ ამას. „**ჩვენს** ქალაქში **ჩვენ** გაგვაშავესო!“ ამბობდნენ მწარედ და ძალა-უნებურად უკვირდებოდნენ თავისს მდგომარეობას. დაინახეს, მარტო „ჩვენობა“ არ კმაროდა, საჭირო იყო ფეხ-მოსაკიდებელი მატერიალური ნიადაგი; საჭირო იყო, ქართველობა მეტი ყოფილიყო ტფილისში და ქონებრივი შეძლებაც ჰქონოდა; დაინახეს, ტფილისში სახელი თუ ქართველობისაა, სახრავი სხვისა.

ს. მესხი შემდეგს მელანხოლიურს წერილს სწერს არჩევნების შემდეგ („დრ.“ 74, 29 ნოემბ.): „რაც უნდა ძალიან ეწყინოს ნამდვილს ქართველს (თუ სადმე მოიპოვება ამ ჟამად „ნამდვილი ქართველი!“),—რაც უნდა ძალიან ეწყინოს, მანც უნდა გავტყდეთ, რომ ერთ დროს ქართველთა სატახტო ქალაქი—ტფილისი—დღეს სომხების საკუთრებათ შექმნილა. ახლანდელ ტფილისის ნახევარ მცხოვრებლებს სომხები შეადგენენ; ვაჭრობა, აღებ-მიცემა იმათ ხელშია; ქალაქის მიწა იმათია; ამ მიწაზე აგებული შენობებიც თითქმის სულ სომხებისაა. თითო ოროლა იმერელს, ან მეგრელს თუ შეხვდებით სადმე, ისიც მოხელეთა და წვრილ ვაჭართა და მეპატრონეთა შორის, თორემ დანარჩენი ვაჭრობა და ავლა-დიდება „ჩვენი“ ქალაქისა სულ სომხების ხელშია“.

„ერთის სიტყვით, სომხები კარგა მაგარის ბრჭყალებით ჩაჭფრენიან ქალაქსა და ჯერ ჯერობით ჰფლობენ და განაგებენ ყველა იმის საქმეებსაც. თუ ამ გარემოებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ კარგად მივხვდებით—თუ ვინ უნდა ამოერჩია ქალაქს თავისს საქმეების წარმომადგენელად და გასაგებად. 72 ქალაქის დეპუტატში მხოლოდ 3 თუ 4 ქართველია, მგონი, 1 თუ 2 რუსი და ერთი გერმანელიც. დანარჩენი სულ სომხები არიან!

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1891

**) იხ. ჩვენი „ქალაქ. თვითმმარ. რუს.“ „ცნ. ფ.“ №№ 1794 და 1802.

განსვენებულის ქვრივმა მიიღო:

ჭიათურიდან: გისამძიმრებთ თქვენის ძვირფასის მეუღლისა და ჩვენის დაუვიწყარ მეგობრის აქსენტი ანტონის ძის უდროვოდ გარდაცვალებას. გსთხოვთ უზენაესს შეგაძლებინოსთ ასეთი მძიმე მწუხარების ატანა. აბაშიძე, იურკევიჩი, ბეგთაბეგოვი.

ბათუმიდან: ძვირფასი ასიკოს გარდაცვალებამ დიდად შეგვაწუხა. ნუგეშად იქონიეთ მისთა თანამემამულეთა მისდამი სიყვარული. კატო, ივანე და ნესტორ მესხები.

კასპიდან: გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულითადი სამძიმარი თქვენი მწუხარებისა გამო. კნ. მარიამ შარვაშიძე, კნ. მარიამ ორბელიანისა.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა ნათქვამი, რომ ავღანის ემირი და ინგლისი ერთმანეთში ვერ არიან მეგობრულად. გაზეთ „ტაიმს“-ში ახლა მოთავსებულია ორი დეპეშა, რომელნიც ამტკიცებენ ზემოდ ნათქვამს. თურმე ინდოეთის ჩრდილო—დასავლეთის სამზღვარზე მცხოვრებნი, ინდოეთის ქვეშევრდომნი, გადასახლებულან ავღანისტანში. ემირს მიუცია მათთვის მიწა და სამი წლით განუთავისუფლებია გარდასახადისაგან. ინდოეთის მთავრობა დამუქრებია გადასახლებულებს, რომ რაც მამული დაგრჩათ ინდოეთის ტერრიტორიაზე, წაგართმევთ და სახელმწიფოდ ჩავრიცხავთ, თუ არ დაბრუნდითო. მაგრამ ამ მუქარას სულ მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: გადასახლებულებმა უპასუხეს, ავღანისტანში ძალიან კარგად ვართ, ემირმა მშვენიერი მამულები დაგვირიგა და მეგობრულად გვეპყრობაო.

მეორე დეპეშის სიტყვით, სარვარხანი, რომელიც ინდოეთის მთავრობის (ინგლისის) სამსახურში იყო, ემირის სამსახურში გადასულა და ქურამის და ხატაკის მცხოვრებლებს აქეზებს ავღანისტანში გადასახლებაზე, რომ ამით არეულობა გამოიწვიოს ავღან-ინდოეთის საზღვარზე. აფრიდიებიც, რომელნიც წინადაც უჯანყდებოდნენ ინგლისს, თურმე ძალიან აღელვებულნი არიან, რომ მათი უმაღლესი სასულიერო პირი, მულლა საიდ-აკბარი ქაბულში წავიდა და ჯერაც არ დაბრუნებულა.

საფრანგეთი. თუმცა მთავრობამ ყოველგვარი ღონისძიება მიიღო, რომ დაეშოშმინებინა კლერიკალებისაგან აღელვებული ბრეტანის ხალხი, მაგრამ მაინც მრავალი უწესოება მოხდა სკოლების დახურვის დროს. პლუდანიელში, ფოლგოეში და სენ-მეანში ხალხს მთელი ღამე არა სძინებია და კეტებით ელოდნენ ჯარის მოსვლას. ყველგან ბარიკადები ამართეს. სამრეკლოებზე ზარის რეკვა არ შეწყვეტილა. არისტოკრატკები მშვენიერ საზაფხულო კაბებით და პატრები შავი ანაფორებით ხალხში ჩარეულიყვნენ და აღელვებდნენ გლეხებს. მართლაც, მცხოვრებთა ფანატიზმი უკიდურეს წერტილზე ავიდა. დილით 9 საათზე სამივე ზემოთ აღნიშნულ ადგილს შევიდა ჯარი და ჟანდარმები.

პლუდანიელში ლეიტენანტ ლენორმანმა მცხოვრებთ მიმართა და სხვათა შორის უთხრა, მე თითონ ერთი ძმა მღვდელი მყავს და მონაზონი, მე მესმის თქვენი აღელვება, მაგრამ იარაღით პროტესტის გამოცხადება აუცილებლად პოლიციის მოქმედებას გამოიწვევსო. „გაუმარჯოს დებს! ძირს კომბი! გაუმარჯოს თავისუფლებას!“ ყვირიან ამის პასუხად. ლენორმანმა უბრძანა სალდათებს სკოლას გარს შემორტყმოდნენ. სალდათები დაიძრნენ ადგილიდან. ხალხი მათ წინ ელობება, არ უშვებს. კომისარი ურჩევს ხალხს დაიშალოს. ხალხი უფრო და უფრო გარს ერტყმის სკოლას. სალდათებს ქვას ესვრიან... თუმცა წვიმა წამოვიდა და ხალხი იწუწება, მაგრამ ამას არავინ არ აქცევს ყურადღებას. როდესაც სალდათებმა მოიყვანეს კარებთან ზეინკალი, ხალხმა მორთო ყვირილი „იუდა! დაიკარგე იქით! დაარჩეთ წყალში“! მანიფესტანტების ერთი ჯგუფი საეკლესიო საგალობლებს ამბობს. სალდათები უფრო და უფრო უახლოვდებიან სკოლას. მათ კვლავ ესვრიან ქვას, აყრიან ნაგავს და ასხამენ ჭუჭყიან წყალს. კომისარებმა რამდენჯერმე სცადეს სკოლაში შესვლა, მაგრამ ვერ მოახერხეს. ასასვლელად მიდგმულ ფიცრებს ნავთი გადაასხეს და ცეცხლი მისცეს მონაზვნების დამცველებმა. პირველი „იერიში“ ორი საათი გაგრძელდა. ბოლოს გაანგრიეს კედელი და შევიდნენ სკოლაში.

იგივე გამეორდა სენ-მეანში, სადაც ხალხის მოთავედ იყო აბატი გეირო, დეპუტატი. არეულობის დროს დასჭრეს პოლიციის ერთი კომისარი. სკოლას გარს ერტყა კეტით შეიარაღებული ორი ათასი გლეხი. რამდენიმე ჟანდარმი და გლეხი დაიჭრა. როგორც იყო სკოლაში შევიდა კომისარი და „დები“ საყდარში გაბრძანდნენ.

ასეთ თავდადებას რომ ხედავ, ფიქრობ, რა ძლიერ ჰყვარებია ბრეტანის ხალხს თავისი სკოლა, რა თავგანწირული ყოფილა განათლებისთვისო. ნამდვილად კი განათლება არაფერ შუაშია. ეს ხდება სწორედ უკიდურესი გაუნათლებლობის გამო. მღვდლებმა ხელში ჩაიგდეს უბედური მხარე და თავის იარაღად გადააქციეს; რომ როიალისტები და სამღვდელოება ერთად მოქმედობდნენ, ამას ამტკიცეს, სხვათა შორის, მაგალითი მაიორი ლერუა-ლადიურიკისა, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა მონაზვნების გამოყვანა დუარნეზის სკოლიდან. ამ ვაჟბატონმაც სენ-რემის წაბაძვით და უფრო კი მღვდლების ბრძანებით უარი განაცხადა თავისი უფროსის ბრძანების აღსრულებაზე. იგი ციხეში ჩასვეს და ბრძანების აღსრულება სხვას მიანდვეს. ლადიურიკიც, როგორც სენ რემი, სენ სირის სკოლის მოწაფე ყოფილა და სენ სირი ხომ ბუდეა კლერიკალიზმისა. ისე კარგად ასრულებდა იეზუიტურ მცნებებს, რომ თურმე საპატიო ლეგიონის ორდენზეც კი წარადგინეს. თუ რამ სიკეთეს გამორჩებიან რესპუბლიკას, რასაკვირველია, ხელს არ დაიწვავენ და როცა ეს რესპუბლიკა მათგან ერთგულ სამსახურს თხოულობს, მაშინ მზად არიან „დებში“ გასცვალონ იგი.

აი სადამდინ მიაღწია ჯარში კლერიკალურმა გახრწნილებამ.

შვეიცარია საფედერაციო საბჭომ დაადგინა: განიდევნოს შვეიცარიის კანტონებიდან თორმეტი ბერთა კონგრეგაცია, რომელნიც წარსულ შემოდგომაზე გადმოსახლდნენ საფრანგეთიდან. ამბობენ, ეს გარდაწყვეტილება ერთხმად დაუდგენიათ. წასვლის ვადა 90 დღე მიუციათ.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 14 აგვისტოს, გზათა სამინისტროსთან არსებულ იმ კომისიას, რომელსაც ახალ რკინის გზების საქმე აქვს მინდობილი, უნდა განეხილა თავ. ნ. თავდგირიძის წინადადება **ოზურგეთიდან ნატანებამდე** რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ.

✦ „პრავიტ. ვესტნიკ“-ის უკანასკნელ ნომერში (174) დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება **თავ. გიორგი ჯამბაკურიან-ორბელიანის** მამულებზე აპეკის დანიშვნის შესახებ. საპეკო გამგეობა სამის წევრისაგან შესდგება, რომელთაგან ერთს პეტერბურგის სათავადაზნაურო აპეკა დანიშნავს, მეორეს თვით თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი, ხოლო მესამეს მისი კრედიტორები. ეს გამგეობა აწარმოებს თავადის ყველა საქმეებს და განაგებს მის მამულებს; თავ. ორბელიანს-კი, სანამ აპეკა იქნება, ნება არა აქვს ჩაერიოს მამულების მართვის საქმეში, აგრეთვე გაჰყიდოს ან დააგიროს რამე. საპეკო გამგეობას ევალება პასუხი გასცეს და გაუსწორდეს თავადის ყველა მოვალეებს; ამისათვის უნდა იქმნას გადადებული თავ. ჯამბ.-ორბელიანის მამულების ყოველგვარი შემოსავალი, გარდა იმ ხარჯისა, რომელიც თავადისა და მისი ოჯახის შესანახად არის საჭირო. თავ. გიორგი ჯამბაკურ-ორბელიანს მამულები აქვს ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში და ქალაქ ტფილისშიაც.

იმავე გაზეთში დაბეჭდილ მეორე უმაღლეს ბრძანებიდან სჩანს, რომ ერთ-ერთ აპეკუნად, თანახმად თავისისავე სურვილისა, იქმნება მისი უმაღლესობა პრინცი პეტრე ალექსანდრესძე ოლდენბურგსკი.

✦ ექიმ პროზოროვსკის განუზრახავს გამართოს **მცხეთაში სანატორია**. აზრათა აქვთ წყალი სანატორიისათვის ნატახტარის წყაროებიდან გაიყვანონ.

✦ ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორმა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მოწერილობა და პირი ახლად შემუშავებულ და უმაღლესად დამტკიცებულ იმ წესისა, რომლითაც უნდა **იხელმძღვანელონ კბილის ექიმებმა**, როდესაც კბილის სამკურნალო კაბინეტს გამართავენ, ან სახლში კერძოდ ავადმყოფებს მიიღებენ. ახალ წესის ძალით კბილის ექიმებმა კაბინეტის დაარსებისა და სახლში ავადმყოფთა მიღების ნება-რთვა უნდა აიღონ ადგილობრივ გუბერნატორისაგან. ნება-რთვის მიღებისა და სამკურნალო კაბინეტის მოწყობის შემდეგ უნდა დაათვალიეროს კაბინეტი სამკურნალო ინსპექტორმა. სამკურნალო დაექვემდებარება საგუბერნიო სამკურნალო გამგეობას. ერთს კაბინეტის პატრონს ნება არ ექმნება იმავესა ან სხვა ქალაქში სხვა კაბინეტი გახსნას.

✦ თელავის მაზრის სოფელ ვაჩნაძიანის **სასოფლო სამკურნალოს** სამეურნეო საქმების განსაგებად ვაჩნაძიანისა და სხვა სოფლის საზოგადოებებს ამოურჩევიათ სამი კაცი: აბრამ გრ. ქევხიაშვილი, მ. ი. ხიზანაშვილი და ი. ი. ბედიანიძე. თელავის მაზრის უფროსმა უკვე სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, არჩეული კაცები დაამტკიცოს სამკურნალოს სამეურნეო ნაწილის გამგე კომიტეტის წევრებად. გუბერნატორმა შეიწყნარა ეს თხოვნა.

იმავე სამკურნალოს შესანახად სოფლის საზოგადოებათა შორის შეკრებილ იქმნა 1027 მან. 20 კაპ. ამას გარდა, რადგანაც შენობა სამკურნალოში ძველია თურმე, მაზრის უფროსს უთხოვნია სამკურნალო გამგეობისათვის, გადასდოს ფული იმის შესაკეთებლად.

✦ ტფილისის გუბერნატორს ბევრმა მიჰმართა და სთხოვა ნება-რთვა **იარაღის ტარებისა**, მაგრამ გუბერნატორს ეს თხოვნები არ შეუწყნარებია.

✦ **ფოთის ქალაქის საბჭოს** ახალ ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია 8 სექტემბრისათვის.

✦ გზათა მინისტრმა ნება დართო რკინის გზის მე-135 ვერსზე, ძირულასა და ბელაგორს შუა **გაიმართოს ბაქანი „ლაშე“**.

✦ რადგანაც 3-დან 16 სექტემბრამდე სხვა-და-სხვა ადგილიდან ჯარს უნდა მოუყარონ თავი, იმიტომ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბმა სთხოვა ტფილისისა, დუშე-

ეს გარემოება ძალიან ადვილად გასაგებია: წვრილი და დიდი ვაჭრები, ცოტა თუ ბევრის ხარჯის გადამხდელნი სულ **სომხები არიან და იმათაც თავის ნაცნობი ძმა-კაცები, თავის რჯულის და ხელობის კაცები** ამოირჩიეს ქალაქის გამგეობაში თავიანთ ინტერესების დასაცავად. ამაში გასაკვირველი არა არის-რა. მაგრამ ამ ამორჩევების შედეგი, მგონი, იმათ ღირს, რომ იმაზე ქართველი კაცი, ცოტას მაინც არის დაფიქრდეს...

არჩევნების წინ-კი ს. მესხი მხოლოდ ურჩევდა ამომრჩევლებს, აირჩიეთ ისეთი კაცები, რომელთაც აინტერესებს საზოგადო საქმე, რომელთაც გული შესტკივათ საზოგადო სარგებლობისათვის. *) სჩანს მარტო ის არ კმარა, რომ **კაი** კაცები იქმნენ არჩეულნი, არა, კაი **ქართველებიც**. ჩვენ ზევით ხაზი გავუსვით ს. მესხის ერთს ფრაზას, სადაც იგი ამბობს, რომ სრულიად ბუნებრივია, რომ სომხებმა თავისიანები აირჩიეს. ეს საყურადღებოა მით უმეტესს, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გაზეთებისაგან დაწყებული აგიტაცია, ჯერ კიდევ გაზეთებს „არ შეექმნათ სომეხ-ქართველთა კითხვა“, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. სომხები ხელმძღვანელობდნენ (ისე როგორც ქართველები) ბუნებრივის ეროვნულის გრძნობით; ამ ბუნებრივ, თავისიანისკენ მიდრეკილებაში არის პირველი წყარო ჩვენის და სომხების შეტაკებისა, რასაც, საუბედუროდ, არ ჰხედავენ ყველანი.

ყველაზე უფრო გააცხარა სომხებმა ბ. აკაკი, რომელმაც შემდეგი მწვავე სიტყვები დაუწერა მათ („დრ.“ 75, № 7): „....ამსტატიით (იხ. ზევით) ჩვენ იმას ვამტკიცებდით, რომ თუ-კი ჩვენ ქართველები, ჩვენის დაუდევრობითა და მოუხერხებლობით, დავკარგავთ რასმე, უმჯობესია ის დანაკარგი ისევ ჩვენმა მოძმეებმა სომხებმა ჩაიგდონ ხელში და არა უცხოებმა-მეთქი, და იმას კი არა თუ მაინცა-და-მაინც სომხებმა ხელ-ფეხი შეგვიკრან, საძრაობას ნულარ მოგვცემენ და ლუკმა პირიდან გამოგვგლიჯონ ხოლმე მეთქი. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს უკანასკნელი მოქმედება სომხებისაგან თან-და-თან იჩენს თავს... ამ აზრამდის მოგვიყვანა ჩვენ ქალაქის გამგეობამ, რომელიც იგივე სომხობაა. დარწმუნებული უნდა იყოს ყველა, რომ ქართველს, გენიოსიც რომ იყოს, მაინც არ ეღირსება ტფილისში გამგეობის მოთავეობა. მართალია, იშვიათად ქართველებიც გამოერევიან ხოლმე გამგეობაში წევრებათ, მაგრამ იმათი ხმა ისე იკარგება სომხების უმრავლესობაში, როგორც წმინდა წვეთი ტბაში.“ რასაკვირველია, სომხები ერთმანეთს ხელს მისცემენ, ამის წინაამდეგ ვერაფერს ვიტყვით, იმას კი მოვითხოვთ, რომ ქალაქის გამგეობამ ჩვენ დასაჩაგრავად არაფერი მოიქმედეს“. ამის შემდეგ ავტორს მოთხრობილი აქვს იმის ამბავი, როგორ გაუწერია გამგეობას თითო მანეთიანი ბაჟი მუშებზე (რომლებიც თითქმის სუყველა ქართველები და იმერლები არიან), როგორ გაუცია ამ ბაჟის ალება **იჯარით**, როგორი უსამართლობა ჰხდება ამ ბაჟის გამო, იჭერენ ბრალიანს და უბრალოს და ხშირად მეორეჯერ ახდევინებენ ფულს.

„მშაკმა“ ეს წერილი სომხობის გალანძღვათ მიიღო და იწყინა, რაზედაც ბ. აკაკიმ უპასუხა: „....სჩანს, რომ მშაკს მთელის სომხის გვარად მიაჩნია ის ქალაქის სომხები, რომელნიც ჩვენ დავჰგმეთ! თუ ასეა, ეტყობა, რომ ძალიან უხეიროთ ესმის სომხის გვარობა. და გვიკვირს ამის შემდეგ როგორღა გვეუბნება, სად არის ნათესავობა, შეერთებულის სიმძლავრით წინ წასვლაო და სხვ... „მშაკი“ გატეხილა, რომ თვითონაც დაუგმია ქალაქის გამგეობა და მისი მიმყოლი სომხობა; ეს ნიშნავს, რომ არ მოსწონს მათი მოქმედება და თუ არ მოსწონს, რაღათ ექომაგება!.. ვიმეორებთ, რომ ის სომხები, რომელთანაც ჭირი და ლხინი გაგვიზიარებია და აწცა მზათა ვართ გავიზიაროთ, სულ სხვა გვარისანი არიან და იქმნებიან, ვიდრე ტფილისელები. ჩვენ მათში ნამდვილ სომხის გვარს ვერ ვხედავთ.“ პოეტი ყოველს მოვლენას წარმოიდგენს გარკვევით, სავსებით, მთლად განვითარებულს, სრულის სახით. წინათ თუ ბ. აკაკი პრინციპიალურად უყურებდა საგანს და ძმობას ჰხედავდა, ეხლა ქართველების დაჩაგვრა რომ დაინახა, სრული კავშირი გაწყვიტა ტფილისის სომხებთან მაინც.

დადგა 1878 წლის არჩევნების დღე და „დროება“-მ ურჩია ტფილისელებს წინანდებურად, წარსულ 4 წელიწადს ვემდუროთ ხმოსნებს და გამგეობას, არაფერს აკეთებდნენო; ეხლა ვეცადოთ ისეთი კაცები ამოვირჩიოთ, რომელთაც გული შესტკივათ საზოგადო საქმისათვისო (№ 254). 1-ლი და 2 რიგის არჩევნებით გულ ნატკენი გაზეთი ამ გვარსავე რჩევას უმეორებს კერძოთ მესამე რიგის ამომრჩევლებს, ეროვნებას ნუ მიიღებთ მხედველობაში და ისეთი პირები ამოირჩიეთ, რომლებიც თქვენის სარგებლობისა და კეთილ-დღეობისათვის იზრუნებენო. მესამე რიგის არჩევნებმაც გაუმტყუნეს ქართველებს იმედი. ჯერ კიდევ არჩევნების გათავებამდის ბ. აკაკი შეეკითხა სომხურ გაზეთებს: რას იტყვიან, რომ პეტერბურგში ხმოსნებად სულ გერმანელები აირჩიონ, ვარშავაში—სულ ურიები და ტფილისში ერთი ქართველიც არ აირჩიონო? ამის პასუხი დასწერა მხოლოდ „მშაკის“ რედაქტორმა, რაზედაც ბ. აკაკიმაც გასცა თავის მხრით პასუხი: ჯერ იგონებს იმას, რომ ქართველები ვენდეთ და მივემხრეთ სომხის ახალგაზდობას, მაგრამ როდესაც საქმეზე მიდგა წელს, თუმცა მდიდარი სომხები გააშავეს, მაგრამ მათვე თან ჩააყოლეს ქართველებიცო; მერე ეხება პირდაპირ პასუხს და ამბობს, რომ დარწმუნებული ვართ, რომ მშაკის პასუხი არ შეადგენს მთელის სომხის ახალგაზდობის აზრს, მით უფრო, რომ ეს პასუხი ეგოისტურია, უსამართლო და წინ დაუხედავი. ბ. აკაკი უსაყვედურებს სომხურ გაზეთს: წინათ ვაჭრების სომხობას უარყოფდი, ახლა-კი გაიძახი,—ეგენი არიან ნამდვილი სომხის ნაციაო, მათ არაფერი საერთო არ უნდა იქონიონ ქართველებთან ქალაქშიო, რადგან ტფილისი დღეს სომხების არისო!...

---

*) „მშაკ“-იც ურჩევდა განსაკუთრებით მესამე რიგის ამომრჩევლებს: თქვენ ღარიბები ხართ, თქვენიანები აირჩიეთ, რომ შევიდნენ თქვენს მდგომარეობაშიო.

თისა და თიონეთის მაზრის უფროსებს, **გზები შეაკეთებინონ.** ყველაზე უფრო საჭიროა შეკეთებულ იქმნას მცხეთა-მუხრან-დუშეთ-თიონეთის გზა.

✦ როგორც „კავკ.“-ს ატყობინებენ, ბათუმში ნურიე-ღელეს ტბასთან, სადაც მიწის მთხრელი მანქანა მუშაობდა, წყალს გაურღვევია ნაპირი და ზღვა არხით შეერთებია ტბას. სიგანე არხისა 6 საჟენია, სიღრმე 2 ფუტი.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიის პირველს კლასში 23 **თავისუფალი ვაკანსია** კიდევ არის. მისაღები ეგზამენები დაიწყება 21, ხოლო განმეორებითი ეგზამენები—24 აგვისტოს.

✦ ტფილისის **საგუბერნიო ექიმი** ბ-ნი ტ. ქიქოძე გუშინწინ, 13 აგვისტოს, დაბრუნდა ტფილისში გორის მაზრიდან.

✦ თელავის მაზრის უფროსმა სთხოვა ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობას გაჰგზავნოს **ვარნამიანის სასოფლო-საავადმყოფოსთვის შეძენილი** წამლები, ავეჯეულობა და იარაღები.

✦ მე-10 ნაწილის ბოქაულს დაევალა ყურადღება მიაქციოს **ნაძალადევის სანიტარულ მდგომარეობას** და ზომები მიიღოს ამ უბნის გასასუფთავებლად.

✦ გუშინ ტფილისის **ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ყაზანის** ქალაქის გამგეობას და სთხოვა მოაწოდოს ცნობები ქალაქის გაზით განათება შესახებ.

✦ ტფილისის **პირუტყვთა მფარველ** საზოგადოების თავმჯდომარის თხოვნის თანახმად, **ქალაქის გამგეობამ** გარდასწყვიტა გადასდოს წელიწადში 200 მანეთი ხსენებულ საზოგადოების სამკურნალოს (პირუტყვთა) სასარგებლოდ.

✦ ერთმა **ტფილისელმა ექიმმა** სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს, ნება მიეცეს კბილის ექიმის კაბინეტის გახსნისა ტფილისში. ამ თხოვნის გამო მინისტრი შეეკითხა გუბერნატორს, საჭიროება მოითხოვს თუ არა, კბილის ექიმის კაბინეტი არა კბილის ექიმმა გახსნას?

✦ კიკეთში, სადაც ქალაქ ტფილისის **საკლავი საქონელია**, 13 სული მომკვდარა რაღაც ჭირისაგან. ამ ჭირის გამოსაკვლევად ბეითალი გაჰგზავნეს.

✦ პოლიციამ დაასრულა **შადინოვის მკვლელობის** გამოძიება და საქმე საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ილიაშენკოს გადასცა. ტყუილი გამოდგა გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი პეტროსოვის შესახებ: იგი არცა მკვლელი ყოფილა და არც გამოტეხილა, პეტროსოვი მხოლოდ დაუბარებიათ ამ საქმის გამო და ჩვენება ჩამოურთმევიათ.

✦ თელავის მაზრის 19 სოფელში ყვავილის ამცრელებს დავითაშვილს და ეპიტაშვილს ივლისის განმავლობაში **აუცრიათ ყვავილი** 622 ყმაწვილისათვის.

✦ ხვალ, 16 აგვისტოს, ტფილისის გამგეობის სადგომში სხდომა ექმნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ქუჩების ახალ სისტემით მოკირწყვლის საქმე.

✦ საგარეჯოს სასოფლო საავადმყოფოში ივლისის განმავლობაში ყოფილა სამკურნალოდ 1173 ავადმყოფი. საგარეჯოელი ყოფილა 633 კაცი, სხვა სოფლელი 647 კაცი.

✦ ივლისის განმავლობაში ტფილისის მთავარ საპატიმროს საავადმყოფოსა და ტფილისის გუბერნიის სხვა ქალაქების საპატიმროებში ყოფილა ავადმყოფი პატიმარი: მამაკაცი 104, დედაკაცი 10 და ბავშვი 4.

✦ 2 სექტემბრისათვის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო განსახილველად საქმე ეხლახან მოკლულ შადინოვისა, რომელსაც ერთის ქალის გაუპატიურება ჰბრალდებოდა.

✦ რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დაწყება 22 აგვისტოს.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილის ბოქაულმა შეატყობინა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ამ ბოლოს დროს ქალაქის მუშები სრულებით ყურს არ უგდებენ ამ ნაწილში მოედნებისა და ქუჩების სისუფთავესაო, ამასთან სთხოვა, განკარგულება მოახდინოს, რომ მუშები კარგად უვლიდნენ ქუჩებსა და მოედნებს.

✦ ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო ექიმი ეგიტინიანცი და ბოქაული შეუდგნენ 14 აგვისტოდან ქალაქის მეშვიდე ნაწილში ხილეულობისა და სხვა დუქნების დათვალიერებას.

✦ 22 აგვისტოს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების კრება. მოქალაქეთა გამგეობამ გუშინ სთხოვა ქალაქის მოურავის მოადგილეს, დაუთმოს კრებას ამ დღეს დარბაზი.

✦ ივლისის განმავლობაში ბარალეთის (ახალქალაქის მაზრა) სასოფლო სამკურნალოთი უსარგებლნია 337 ავადმყოფს. აქედან 203 ავადმყოფი ყოფილა მამაკაცი, 61 დედაკაცი და 73 ბავშვი.

✦ პოლიცმეისტერს შეუტყვია, რომ მეეზოვენი კარგად არ ასრულებენ თურმე თავიანთ მოვალეობას, ამიტომ უბრძანებია ბოქაულებისათვის, გამოუცხადონ მეეზოვეებს რომ მათ დამ-დამობით საღამოს 6-დან დილის 6 საათამდე განუწყვეტლივ უნდა იმორიგეონ.

პოლიცმეისტერმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე პოლიციის მოხელეთა დაუდევრობას და უბრძანა მათ, საღამოობით ყოველთვის ქუჩებში იდგნენ, თავიანთ ადგილებზედ.

✦ პოლიცმეისტერმა მე-6 და მე-7 ნაწილის ბოქაულებს დაავალა, ყურადღება მიაქციონ დუქნებს თათრის მოედანსა, ვორონცოვის ქუჩასა და კახეთის მოედანზედ და განკარგულება მოახდინონ, რომ მედუქნეებმა შეაღებინონ და სუფთად შეინახონ დუქნები. ამას გარდა მედუქნეებმა სანოვაგე გარედ, ქუჩაში არ უნდა დააწყონ.

✦ თელავის მაზრის ენისელის სასოფლო საავადმყოფოში ივლისის განმავლობაში სამკურნალოდ ყოფილა 1687 კაცი; აქედან მამაკაცი ყოფილა 528, დედაკაცი 579 და ბავშვი 752.

✦ სასახლის ქუჩაზედ, ალშვანგისა და ჩარახჩიანოვის მაღაზიებში ქურდობა აღმოაჩინეს. ამ საქმის გამო დააპატიმრეს თევ. ბუაძე, მეეზოვე პოდალოვი, ალყეევი და სხვანი. ყველა ესენი დასახელებულ მაღაზიებში მსახურებდნენ, ზოგი მეეზოვედ, ზოგი მოსამსახურედ, ხოლო ბუაძე დათხოვნამდე ნოქრად იყო. ადრევე ამოუჭრიათ პატარა ადგილი იატაკში, იქიდან კვირას სარდაფში ჩასულან, სადაც ალშვანგისა და ჩარახჩიანოვის დიდ-ძალი ნივთები ალაგია, და წაუღიათ, რაც ნდომებიათ. უკვე იპოვნეს მოპარულ ნივთების ნაწილი. ბუაძე ხაშურში დააპატიმრეს.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ 11 აგვისტოს ქალაქის თეატრში მსახიობმა გ. ბალანჩივაძემ, სცენის მოყვარეთა დახმარებით, გამართა იაფ-ფასიანი წარმოდგენა. თეატრს დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა, ბევრი უადგილობის გამო უკან დაბრუნდა. მომეტებული ნაწილი დამსწრე საზოგადოებისა გაჭრები და ნოქრები იყვნენ, ბლომად იყო აგრეთვე მოსწავლე თაობა.

წარმოადგინეს „უბედი არსენა“ 3 მოქ. დრამა ა. ყაზბეგისა და „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“ კომედია 2 მოქ. ა. ცაგარლისა.

წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. მოთამაშენი დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვეს და საზოგადოებაც მეტად ნასიამოვნები შინ დაბრუნდა.

შემდეგი ქართული წარმოდგენა 25 აგვისტოს გაიმართება ერთი ღარიბ სტუდენტის სასარგებლოდ. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას ყველა ჩვენი არტისტები მიიღებენ.

✦ ტფილისის სააბრეშუმო სადგურის ინსტრუქტორს ბ-ნ ი. ქუთათელაძეს ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი გ. პეტრიაშვილი მიუწვევია და 12 აგვისტოს გაემგზავრებიან სოფელ წყალტუბოს, (ქუთაისიდან რვა ვერსის მანძილზეა) იქაურ აბანოს წყლების დასათვალიერებლად. წყალტუბოს წყლები სახელ-განთქმულია მთელს იმერეთში და დიდი ხალხი აწყდება კიდეც საბანაოდ ზაფხულში.

✦ ქუთაისის პოლიცმეისტერს დისოვსკის მოუვლიან ქუთაისს 20—21 აგვისტოს.

რუსეთის ქრონიკა

✦ ლ. ნ. ტოლსტოი სრულიად განკურნებულა ავადმყოფობისაგან. მხცოვანი მწერალი წინანდელებრ მუშაობს და დადის თურმე.

✦ რუსთა ცნობილი მწერალი ანტონ ჩეხოვი იალტაში მიდის, სადაც დაამთავრებს ახალ პიესას. მეორე ცნობილ მწერალს მ. გორკის უკვე დაუმთავრებია პიესა.

✦ როგორც მთავრობის მიერ მიღებულ ცნობებიდან სჩანს, შიდა რუსეთში ბევრი ერობა შესდგომია პურის ლომბარდის გამართვას. ამ ლომბარდებში გლეხებს პურზე სესხს აძლევენ მეტად მცირე სარგებლით. პირველი ასეთი ლომბარდები გამართეს ვიატკის გუბერნიის სამაზრო ერობებმა.

✦ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ხოლერა შორეულ აღმოსავლეთში სუსტდება. ბლაგოვეშჩენსკში უკანასკნელ კვირას (30 ივლისიდან 5 აგვისტომდე) ავად გამხდარა 64, მომკვდარა აქედან 47 კაცი, წინა კვირას კი ავად გამხდარა 122, ხოლო მომკვდარა 80 კაცი. პორტ-არტურში 24-დან 29-ივლისამდე ავად გამხდარა 61, მომკვდარა 41. ინკოუსა, ხარბინსა და გირინში ეხლა დღეში 10-დან 19-კაცამდე ჰხდება ავად, წინად კი—20-დან 30-მდე ჰხდებოდა. მხოლოდ მუკდენში არ დასცხრა ავადმყოფობა, დღეში იქ 50 კაცამდე ჰხდება ავად. ავადმყოფთა რიცხვი კლებულობს, მაგრამ თვით ავადმყოფობა კი ვრცელდება: ერთის ადგილიდან მეორეში გადადის. ხოლერა ვლადივოსტოკსა და ირკუტსკშიაც გაჩნდა. სენი ციმბირის გზის ლიანდაგის გაყოლებას მოსდევს. სასანიტარო კომისიები შორეულ აღმოსავლეთს გარდა მუშაობას შეუდგნენ ტომსკსა და ტობოლის გუბერნიებში და აკმოლინის ოლქში. ეს ცნობები მიიღო და გამოაქვეყნა შავ-ჭირთან საბრძოლველად დაარსებულმა კომისიამ.

იმავე კომისიის ცნობებით, ოდესაში 3 აგვისტოს სამკურნალოში მიუყვანიათ ებრაელი ბავშვი, რომელსაც 5 აგვისტოს შავი ჭირის ნიშნები აღმოაჩნდა.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი ახალის კანონისა ნადირობის შესახებ.

✦ გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ ზოგიერთ რკინის გზებს, მათ შორის ამიერ-კავკასიისასაც მიეზომოთ ახალი მიწები სხვა-და-სხვა საჭიროებათათვის.

✦ მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის გამომცდელ კომისიაში ეგზამენები დაიწყება 2 სექტემბერს.

✦ რადგანაც ცხენის რკინის გზებსა და ელექტრონის ტრამვაებზე ხშირია სხვა-და-სხვა უბედურება, რუსეთის სატეხნიკო საზოგადოებას გადაუწყვეტია დაინიშნოს კონკურსი იმის დასაჯილდოვებლად, ვინც მოიგონებს საუკეთესო მოწყობილებებს უბედურების თავიდან ასაცილებლად.

ასეთი კილო ჩვეულებრივია დღესაც სომეხ-ქართველთა ურთიერთობაში. იტყვის ვინმე სომეხი, ან ქართველი ერთობას და გვიამება, ამას ვართ მოწადინებული. მაგრამ ნდობა არა გვაქვს ერთმანეთისადმი და არც გამოგვირკვევია კარგად, რა უნდა იყოს ეს ერთობა. ხანდახან ერთობის მქადაგებელი ისეთს რასმე მოითხოვს მეორე მხრიდან, რასაც სრულებით ერთობისკენ არ მივყავართ. ეს კიდევ ერთხელ იმას გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ურთიერთობის კითხვა ძნელი საგანია. „დროება“ და „მშაკი“ ძალიან დაახლოვებულნი იყვნენ, ს. მესხი თითქმის მეგობარი იყო მშაკის რედაქტორის—არწრუნისა, მაგრამ მათი გაზეთები ჩვენის ერთობის შესახებ რომ ერთმანეთს შეეტაკებოდნენ, ხანდახან **თავის** სიგლახესაც-კი იცავდნენ.

ზემო მოყვანილი წერილი ბ. აკაკიმ შემდეგის სიტყვებით დაამთავრა: „ჩვენ-კი ჩვენის მხრით იმათ (ხელოსნებს) ვაფასებთ და რამდენადაც თქვენი ნაქები ვაჭარი გვძულს, იმოდენათ ხელოსანი გვიყვარს, რა ნაციასაც უნდა ეკუთვნოდეს“. დღეს ყოველი შეურაცხყოფილი ხალხს შესჩივლებს ხოლმე; დემოკრატიული დროება ხშირად მიმართავდა ხალხს, მაგრამ ამით მაინც არ დაკმაყოფილებულა მისი ეროვნული წადილი. უეჭველია, ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ჯერ ჩვენში ხელოსნებს და სხვა მშრომელს ხალხს არავითარი შესამჩნევი გავლენა არა აქვს ცხოვრებაზე. თუმცა არასოდეს არ უნდა ვიფიქროთ, რომ რომელიმე ხალხი არანაციონალური იყოს. ჩვენში რომ ეროვნული უთანხმოება მოისპოს, ამისათვის ბევრი ხელის შემწყობი პირობაა საჭირო, მხოლოდ რამდენად უფრო გადემოკრატდება ჩვენი ცხოვრება, იმდენად მეტი სამართლიანობა იქნება შეტანილი ამ ეროვნულ უთანხმოებაში...

1883 წ. არჩევნებს მხოლოდ ერთი წერილი უძღვნა „დროებამ“. ს. მესხი უკვე არ იყო ცოცხალი. წერილი დაბეჭდილია 1 და 2 რიგის არჩევნების შემდეგ, რომლებზე მხოლოდ 5 ქართველი აირჩიეს. „წინათვე ქონდათ კრებები, ვკითხულობთ ამ წერილში: მოლაპარაკება, წინათვე ქადაგებდნენ, წინათვე იყო შედგენილი სიები. ზოგიერთები თითქოს მიუდგომლობას იჩენდნენ და ქართველებშიაც-კი ეძებდნენ სახმოსნო კანდიდატებს. ბოლოს კენჭის ყრის დროც მოვიდა... (აირჩიეს 2 ქართველი) „ისე დაიყვნენ პარტიები, რომ სხვა ნაირად ვერ მოხერხდებოდაო, სთქვეს ამორჩევების მოქახრაკეებმა, მოითმინეთ მეორე ხარისხის არჩევნებამდისო... (აირჩიეს 3 ქართვ.) ამ ნაირად 48 ხმოსანიდან ამოირჩიეს მხოლოდ 5 ქართვ. და 6 რუსი და სხვა ტომისანი. მომავალ კვირას მესამე ხარისხის არჩევნებია, მაგრამ არა გვგონია, რომ მაშინაც 4—5 კაცის მეტი სხვა ვინმე ამოირჩიონ, გარდა სომხებისა. ყურადღების ღირსია ეს გარემოება. მართალია, ქართველები საქართველოს დედაქალაქში სომხებზე ნაკლები არიან რიცხვით, **მაგრამ ქართველები, რუსები და სხვა ტომის ხალხი რომ შევაერთოთ, სომხებზე, მეტი თუ არა, ნაკლები არ გამოვა**“. და თუ სომხები მეტს ხმოსნებს ირჩევენ, იმის მიზეზია, რომ მათ ცენზი აქვთ, ერ[illegible] [illegible]რის მიცემა იციან, ორგანიზაცია აქვთ, ერთად არიან ყოველს საზოგადო საქმეში. „ქალაქის ქართველების ინტერესი მოითხოვს, რომ განათლებული, დაწინაურებული და პატიოსანი ქართველებიც ერივნენ და ილებდნენ მონაწილეობას ქალაქის გამგეობის საქმეში. ამისთვის საჭიროა ჩვენც ისე მოვიქცეთ, როგორც სხვები იქცევიან: შევიძინოთ ცენზი და საჭირო დროს ვიმოქმედოთ ერთად, ძმურათ, პირი მივცეთ ერთმანეთს“. („დრ.“ 83,241).

ქალაქის თვით-მმართველობა ძალიან სამსახურს უწევს ჩვენს გათვითცნობიერებას: უფრო და უფრო ვუკვირდებით ჩვენს სისუსტეს, ნაკლულევანებებს. ყოველი დამარცხება ჩვენი გამომაფხიზლებელია და არა გვგონია ისე რამე ეხმარებოდეს ჩვენ საზოგადოებრივ აღზრდას, როგორც საქალაქო არჩევნებზე ბრძოლა. ქართველებმა პირველად აქ ტფილისის თვით-მმართველობაში დაინახეს, როგორც სარკეში, თავისი უკან ჩამორჩენა, უნიადაგობა, რომ სომხები ერთმანეთს უფრო ძმობდნენ, ვიდრე ქართველებს, თუმცა საქართველოში სცხოვრობდნენ და ქართულადაც ლაპარაკობდნენ. ზემომოყვანილ წერილში ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ აქ პირველად ვხედავთ ქართველების სურვილს, რომ შეუერთდნენ სხვებს თავის წინანდელ მოძმეების-სომხების წინაამდეგ, რაიც სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ორისავე მხარესთვის. ცხადია ისიც, რომ ამაში მეტი ბრალი სომხებს აქვთ, ვიდრე ქართველებს.

ასე მოიქცევოდნენ სხვებიც, ასე იქცევიან სომხებიც. სომხები მეტნი არიან რიცხვით ტფილისში, მეტი ქონება აქვთ; ამიტომ მეტი ძალაც აქვსთ არჩევნებზე. ამ ძალით მათ ისარგებლეს სავსებით თავის სასარგებლოთ და შეხედეს ქართველებს არა როგორც სუსტს **მოძმეებს**, არამედ როგორც **უცხოებს**. სომხები ირჩევდნენ თავისიანებს და უთმობდნენ ქართველებს იმდენს უფლებას, რამდენიც მათ ეკუთვნის **კანონით**. არც **ზნეობრივი**, არც **ისტორიული** უფლება არ ყოფილა მიღებული სახეში. სომხები იქცეოდნენ ისე, როგორც იქცევა ყოველი ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც არ ხელმძღვანელობს ცხოვრებაში ასეთის საბუთებით. ჩვენი ზნეობრივი უფლება ისაა, რომ იმდენი ხმოსნები მოგვცენ, რამდენიც რიცხვით ჩვენ ვართ ტფილისში (და არა იმდენი ხმოსნები, რამდენის ქონებაც გვაქვს), ჩვენი ისტორიული უფლება ის არის, რომ ტფილისი ჩვენის სისხლით დაგვიცავს და სამსახური მიგვიძღვის ამ ქალაქის და ქალაქელებს წინაშე. ჩვენ შეგვიძლია, ყოველთვის მივმართოთ სომხების ზნეობას, მოვთხოვოთ სამართლიანობა და არა მარტო კანონიერობა, მაგრამ ამით მანდა მაინც ვერაფერს შევიძენთ დღეს. დღეს ჩვენი ძალა—ჩვენი გამრავლებაა ტფილისში და ეკონომიურად გაღონიერება. მაშინ სომხები პატივსცემენ ჩვენს უფლებას და ჩვენც გულნატკენიც არ ვიქნებით მათზე.

გელაში

(შემდეგი იქნება)

◆ სექტემბერში, როგორც რუსული გაზეთები სწერენ, მთავრობის მიერ დანიშნული კომისია დაწვრილებით დაათვალიერებს სახელმწიფო რკინის გზებს.

◆ ოდესაში არსებობს ნოქართა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება. წესდებით ამ საზოგადოებას უფლება აქვს დააარსოს და შეინახოს თავის ხარჯით სასწავლებელი. საზოგადოებას განუზრახავს ისარგებლოს მინიჭებულის უფლებით და ამიტომ სამოსწავლო ოლქის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს სასწავლებლის დაარსების ნება-რთვის შესახებ. ნოქართა საზოგადოებას ამ სასწავლებლისათვის უკვე ჰქონია 20-ათასი მანეთი, ერთის კაცის მიერ შეწირული. აზრადა აქვთ, განზრახულ სკოლაში ასწავლონ, სხვათა შორის, სავაჭრო არითმეტიკა და ბუხჰალტერია. სასწავლებელში მიიღებენ უმთავრესად საზოგადოების წევრთა შვილებს.

◆ მთავრობას აზრადა აქვს შემოიღოს მთელს რუსეთის იმპერიაში მთავრობის მოხელეთა დაზღვევა.
ამ საქმის შესახებ უკვე შეეკითხნენ სხვა-დასხვა უწყების მოხელეებს.

პრესსა

„ივერია“ ადარებს ძველსა და ახალ გეგმას ჩვენებურ სამრევლო სკოლებისას. სხვათა შორის საყურადღებოა შემდეგი განსხვავება:

> ძველი გეგმა მთავარ საგნად სთვლილა ჩვენებურს სკოლებში ქართულს ენასა, რომელზედაც სწარმოებდა მთელი სწავლა ყველა საგნებისა სამისავე წლის განმავლობაში; თვით რუსული ენა ისწავლებოდა ქართულის ენის შემწეობით. გარდა ამისა, ქართულს ენას, როგორც საგანს, ნარგუნები ჰქონდა ორი გაკვეთილი დღეში, ანუ თორმეტი გაკვეთილი კვირაში თვითოეულს განყოფილებაში; ახალი გეგმა მთავარ საგნად სთვლის რუსულს ენას, რომელზედაც უნდა იწარმოვოს მთელმა სწავლამ, გარდა საღმრთო სჯულისა, რომელიც სამს წელიწადს ისწავლება ქართულს ენაზე და მეოთხე წელს რუსულს ენაზე იმეორებენ. თვითონ სწავლება რუსულის ენისა პირველ წელიწადს სწარმოებს მუნჯურის მეთოდით. გარდა ამისა ამ ენას დათმობილი აქვს ერთი-ორად მეტი გაკვეთილი, ვიდრე წინად ჰქონდა. სამაგიეროდ ძლიერ შემცირებულია მნიშვნელობა ქართულის ენისა ახალს გეგმაში. თორმეტის გაკვეთილის ნაცვლად პირველს განყოფილებაში ექვსი გაკვეთილი ურგუნებიათ დედაენისათვის, მეორეში—სამი, მესამეში ორი, და მეოთხეში-კი სრულიად მოსპობილია ქართულის ენის სწავლება. გარდა ამისა პირველს წელიწადს თვით რუსულის ენის სწავლებაში უარყოფილია ქართულის ენის ხმარება.
>
> ძველი გეგმა ყველა სკოლებს აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოისას რაცხდა ქართულ სკოლებად და ერთი გეგმა იყო ყველასათვის სავალდებულო; ახალი გეგმა ქართულ სკოლებად აღარა სთვლის არც სამეგრელოს სკოლებსა, არც სვანეთისასა და უკრძალავს აქ ქართულის ენის სწავლებასა. თვით იმ სკოლებს შუაგულის საქართველოისას, სადაც ქართველ ბავშვებთან ერთად სწავლობენ, სრულიად გაქართველებულნი შვილები სომხებისა, ოსებისა და ებრაელებისა, ახალი გეგმა ქართულ სკოლებად არ ჰრაცხს, თუნდა ყველა მოსწავლეებმა ქართულის ენის მეტი არა იცოდნენ რა.

⁂

ჩვენის ქვეყნის კლასიკურ გიმნაზიებში, თანახმად 20 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულის გეგმისა, ამიერიდან, როგორც იციან მკითხველებმა, ბერძნულ ენას არ ასწავლიან; მის მაგიერ შემოღებული იქნება სამშობლოს აღწერილობისა და ბუნების მეტყველების სწავლება და გაძლიერებულ იქმნება ახალ ევროპიულ ენების შესწავლა. ამ გარემოებას ეხება გაზ. „ნოვ. ობ.“ და სწერს, რომ ასეთი რეფორმა ჩვენებურ გიმნაზიებისთვის საკმაო არ არისო; საჭიროა ამიერ-კავკასიის გიმნაზიებში ადგილობრივ მკვიდრთა ენები და ადგილობრივი ქვეყნის აღწერილობა ასწავლონო.

> ადგილობრივ ენებსაო, განაგრძობს ავტორი, ახლაც ასწავლიან აქაურ კლასიკურ გიმნაზიებში, მაგრამ არა როგორც სავალდებულო საგნებს; ამასთანავე ამ ენებს მხოლოდ მკვიდრთ ასწავლიან. ხოლო ადგილობრივ ენების ცოდნა, თუნდაც ერთის მათგანის, აუცილებლად საჭიროა ყველა აქაურ მცხოვრებთათვის და არა მარტო მკვიდრთათვის. უკანასკნელთაგან ბევრი შემდეგში სამსახურს კავკასიაში ეწევა და ყველგან, ყველა უწყებაში ადგილობრივი ენა გამოადგება... ამასთანავე უნდა გაძლიერდეს რუსულ ენის სწავლება, რადგან მკვიდრთ, ნამეტურ პროვინციალურ ქალაქებში (ქუთაისი, ერევანი), უძნელდებათ რუსულის ენის შეთვისება.

ამიტომაო, დასკვნის გაზეთი, მომავალმა რეფორმამ განსაკუთრებულ პირობებში უნდა ჩააყენოს კავკასიის გიმნაზიები: სავალდებულოდ გახადოს ყველასათვის ერთის ადგილობრივის ენის შესწავლა და გააძლიეროს რუსულის ენის სწავლებაო.

უცხოეთის წვრილი ამბები

მილიარდერის სასახლე. ამერიკელი მილიარდერები ფულს არა ჰზოგავენ, ოღონდ-კი ქვეყანა გააკვირვონ და გაანცვიფრონ. უანგარიშოდ ჰხარჯავენ ფულს ისეთ რამეებზედ, რაც არავისთვის გამოსადეგი და სარფა არ არის. ამ შემთხვევაშიაც მოდას დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ რამეს აინიჟებენ ფულით გაამაყებული ამერიკელნი და სცდილობენ, ერთმანეთს გადააჭარბონ. ერთ ხანად გამოჩენილ მხატვართა სურათების ყიდვა იყო მოდაში, კარგი მეძებრებივით დაძრწოდნენ მილიარდერები ევროპის ქალაქებში და ყიდულობდნენ გამოჩენილ მხატვართა სურათებს. ბევრჯელ მოუტყუებიათ კიდეც ამ საქმეში უვიცი მილიონერი, მომხდარა ისე, რომ დიდ ფულში ამერიკელისთვის გამოჩენილ მხატვრის ნაწარმოების ნაცვლად უნიჭო მხატვრის ნაჯღაბნი შეუტყუებიათ.

როდესაც სურათების ყიდვა მოსწყინდათ, ამერიკელნი ძველ წიგნების ძებნას შეუდგნენ; მერე ნაირ-ნაირ გემების შენებას და ამ გემებით სეირნობას. ერთ დროს მილიარდერები ქაღალდის ფულს აკრავდნენ ოთახების კედლებს შპალერის ნაცვლად; სულ ბოლო დროს ამერიკელნი დიდ-დიდ სასახლეებს აგებენ და სცდილობენ, ამით გადააჭარბონ ერთმანეთს.

აი ეხლაც, ერთ მილიარდერს, ფოლადის ტრესტის პრეზიდენტს, ჩარლზ შვაბს, განუზრახავს რაღაც საოცნებო სასახლის აგება ნიუ-იორკის ზედ შუა-გულში. ამ სასახლის აგების დროს ერთი სტილი და გემოვნება არ იქმნება დაცული. შვაბს განუზრახავს თავის შენობას სხვა-და-სხვა ისტორიულ სასახლის ფერი და იერი მისცეს. წინა მხრიდან იგი შეკონსოს სასახლეს ემგვანება, აღმოსავლეთის მხრის კედელი—აზი-ლე-რიდოსას, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა—ბლუას სახლს. სასახლეს უზარმაზარი კოშკი ექმნება, საიდანაც მთელი ქალაქი, ნავთ-სადგური და მდინარე გუძონის მიდამოები გამოჩნდება. შიგნით სასახლეს დარბაზები სხვა-და-სხვა გემოვნებაზე ექმნება მორთული.

როგორც გამოუანგარიშნიათ, ეს სასახლე 30 მილიონ მანეთად დაჯდება თურმე.

⁂

ლინჩის სამართალი. ვინ არ იცის, რა არის ლინჩის სამართალი? გამხეცებული ბრბო, რამდენისამე ათას კაცისაგან შემდგარი, იჭერს, ან ძალით ართმევს დარაჯებს, ან კიდევ საპყრობილეს ანგრევს და იქიდან იტაცებს დამნაშავეს და სასტიკის წამებით ასალმებს წუთი-სოფელს. ეს არის ლინჩის სამართალი, იგი ამერიკელთა მოგონილია, იმათის ჭკუის ნაყოფი. ამერიკაში ეს „სამართალი“ ძალიან არის გავრცელებული როგორც ოფიციალური სტატისტიკა ჰმოწმობს, წელიწადში სულ ცოტა 150 ასეთი „სამართალი“ მაინც მოხდება. 1893 წელს 200 კაცი შეიქმნა ამ სამართლის მსხვერპლი, ხოლო წელს 235 კაცი. ტანჯულ-წამებულნი უმთავრესად ზანგები არიან ხოლმე.

1901 წელს ასეთის სამართლით ამერიკელებს დაუსჯიათ 121 კაცი ამათგან 1 ინდიელი ყოფილა, 1 ჩინელი, 26 ამერიკელი თეთრ-კანიანი და 107 ზანგი. საბაბი ასე სასტიკად ადამიანთა დასჯისა მრავალ-ნაირია. 39 შემთხვევაში მიზეზი მკვლელობა იყო, 20 შემთხვევაში—თეთრ-კანიან ქალის გაუპატიურება, 9 შემთხვევაში—სიძულილი თეთრ და შავ-კანიანთა შორის.

ბევრს სცდილობენ ამერიკაში ამ მავნე ჩვეულების მოსასპობად, მაგრამ იმის აღმოფხვრას ჯერჯერობით არაფერი ეშველა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 აგვისტო

ვარშავა. დღეს დაასაფლავეს გვამი ქალაქის პრეზიდენტად ყოფილის გენერალის სტარინკევიჩისა. ადგილობრივმა გაზეთებმა დაჰბეჭდეს წერილები, რომელშიაც ჩამოთვლილია განსვენებულის მოღვაწეობა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ჩაის ვაჭართა ფირმები საარმუკო კომიტეტის საშუალებით შუამდგომლობენ იმის შესახებ, რომ ეპატიოთ დამატებითი ბაჟი ვლადივოსტოკისა, ნიკოლაევისა და კიახტის დამოჟნებზე რუსეთში უკვე გაგზავნილ ჩაიზედ.

სევასტოპოლი. უფროსი ბრესტის რაზმისა, რომელშიაც მსახურებდა დენშჩიკის მიერ მოკლული შტაბს-კაპიტანი ბაბენკო, შუამდგომლობს იმის შესახებ, რომ მოკლულის სამი მცირე-წლოვანი შვილი მიღებულ იქმნას სახელმწიფო ხარჯით კადეტთა კორპუსში.

კრონბერგი. საბერძნეთის მემკვიდრე პრინცი მეუღლითურთ გუშინ წავიდა ბერლინში, საიდანაც პეტერბურგს წავა საბერძნეთის მეფის ძის ნიკოლოზის ჯვარის წერაზე დასასწრებლად.

კოპენჰაგენი. საბერძნეთის მეფის ძენი გიორგი და ანდრია რუსეთში წავიდნენ.

პეტროზავოდსკი. მთავრობამ ნება-დართო დაარსებულ იქმნას საზოგადო ბანკი. ფინანსთა მინისტრმა ძირის თანხის შესადგენად გადასდო 25,000 მანეთი.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულ“-ში გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანებანი: 1) სახელმწიფო ბანკებთან არსებულ შემნახველ კასსების ფულის სარგებლის ანგარიშის წეს-რიგის შეცვლის შესახებ; 2) გადასახადების ინსპექციის მოხელეთა გაძლიერების შესახებ; 3) თავად-აზნაურთა საქმეებისათვის შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის დაარსების შესახებ.

პეტერბურგი. 10 აგვისტოს ნოვო-როდომსკის მახლობლად თავის მამულს სტაჟალკოვში გადაიცვალა მხატვრობის პროფესორი გენრიხ სემირადსკი.

14 აგვისტო

კრასნოიარსკი. მოვიდა აქ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავ. სვიატოპოლკ-მირსკი.

პეკინი. ფრანგ ეპისკოპოსს წვეთი დაეცა, რომელმაც მარცხენა მხარე დაუზიანა.

სოფია. ბრბო, 70 კაცისაგან შემდგარი, სცდილობდა საზღვარზე გადასვლას; მოხელეებმა გამოუყენეს მდევარი, რომელმაც ვიტოშის მთებში შეიპყრო 61 კაცი და წაართვა დროშა.

ლონდონი. კალეში მისვლისას შაჰმა მეფეს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც მადლობა გადაუხადა კარგის მიღებისათვის. დეპეშაში შაჰი აცხადებს, არ დამავიწყდება ინგლისში მოგზაურობაო.

ვერჟბოლოვო. საბერძნეთის მემკვიდრემ მეუღლითურთ, პეტერბურგისაკენ მიმავალმა, აქეთ გაიარა.

უფა. ციმბირის ჭირის გამო საქონლის საგუბერნიო გამოფენა მომავალ წლისათვის გადაიდო.

პერმი. პერმის გუბერნიაში მკა გათავდა მოსავალი გვარიანია.

გაგრი. დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ ინახულა გაგრის კლიმატიური სადგური და დაწვრილებით დაათვალიერა სასტუმრო, რომელსაც ეხლა აშენებენ. ჯავშნიანი გემი „როსტისლავი“ დღეს ტუაფსესა და ნოვოროსისკისაკენ წავიდა.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა დიდის მთავრის ვლადიმირის ასულის ელენესი და საბერძნეთის მეფის ძის ნიკოლოზის ქორწინების წესი.—„პრავ. ვესტ.“-ში გამოქვეყნებულია უმაღლესი რესკრიპტები: დიდ მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს ძის სახელობაზე, რომელსაც უმაღლესი მადლობა გამოეცხადა ალბომების დამთავრების გამო და გენერალ-ადიუტანტს კაზნაკოვს სამსახურის 50 წლის შესრულების გამო. —სამხედრო-სამკურნალო ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი სპერანსკი დამტკიცებულ იქმნა ამ თანამდებობაზე.—მოსულ ცნობებით, 8-დან 12 აგვისტომდე აზიის რუსეთში ხოლერით ავად არავინ გამხდარა იმ ოთხის კაცის გარდა, რომელნიც 10 აგვისტოს ბაიკალის გემზე გახდნენ ავად. ხოლერა სუსტდება იმ ადგილებში, სადაც წინად გავრცელდა: ბლაგოვეშჩენსკში 6-დან 10 აგვისტომდე ავად გახდა 36, გარდაიცვალა 24; პორტ-არტურში 30 ივლისიდან 3 აგვისტომდე ავად გახდა 35, გარდაიცვალა 19; დალნიში 20 ივლისიდან 2 აგვისტომდე ავად გახდა 23, გარდაიცვალა 8; ხაბაროვსკში ავადმყოფთა რიცხვი მცირდება; ვლადივოსტოკში 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე ავად გახდა 24, გარდაიცვალა 8 კაცი; მანჯურიაში ხოლერა სუსტდება. ოდესსაში 8 აგვისტოს საეჭვო ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა ერთი დედაკაცი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამი- 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ზ ი ს
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გვრის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754 (წ.).

დიდი [illegible] მედალი
ახალი სახურავი,
რომელზედაც პატენტია აღებული.
[illegible] 1901 წლის [illegible] გამოფენა
ფაბრიკა და საცინკო ქარხანა
ი. შელენგოვსკის
და
ამხანაგობისა
ბათუმში.
[illegible] გამძლეთი და იაფი სახურავი
პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.
პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.
[illegible]
ამხანაგობის წარმომადგენელნი:
ტფილისში გ. მულიარსკი
(ერევნის მოედანზე № 25)
ქუთაისში ვ. ჭილაძე
(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)
(50—10)

Дозв. ценз. Тифлисъ, 14 Августа, 1902 г. ელექტრო[illegible] აგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).